№ 43
ხუთშაბათი 21 თებერვალი 1902 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
**„ივერიის“ ტელეფონი** № 227.

1877–1902

# ივერია

№ 43
ხუთშაბათი 21 თებერვალი 1902 წ.

რედაქცია
**ნიკოლოზის ქუჩა, 21.**
**ტფილისი.**
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

**ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“** № 838

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს, მარტის 1-ს, სოფ. არბოში, წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილ იქმნება **წლის წირვა და პანაშვიდი**

## დურმიშხან შალვას ძის ყურულის

სულის მოსახსენებლად. **ქეთევან ლუარსაბის ასული ყურულისა შვილებითა და სიძითურთ** აუწყებენ ამას განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა და სთხოვენ მათ მობრძანდნენ წირვაზედ, სოფ. არბოში. (2—290—2)

**სოფიო ალექსანდრეს ასული ალექსიძე, მისი შვილები ლიზა, საშა ნინა და და ელისაბედ ჩიკოიძისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი თავისის ქმრისა, მეორენი მამისა და მესამე—ძმის

## დიმიტრი ივანეს ძის ალექსიძისას

გარდაცვალებულის გვამი ასვენია პეტრე-პავლეს ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება დღეს, 21 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, ამავე ეკლესიის სასაფლაოზედ. (2—300—2)

**სილოვანტი ლუკას ასული მანჯავიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა გარდაცვალებასა საყვარლის მეუღლისას, მეორე გილდის ვაჭრის

## ალექსი სიმონის ძის მანჯავიძისას,

სთხოვს გარდაცვალებულის ნათესავთ, მეგობართა და პატივისმცემელთ მიაბრძანდნენ განსვენებულის გამოსვენების დღეს, 21 ამა თებერვალს, დილის ცხრა საათზე ს. ვან'ში, ბელაგორის სადგურის მახლობლად — საკუთარს სახლში. (1—ნ.—1)

## 1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ცხრა მანეთი და ათი შაური** (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
თაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
აქთში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ჩაჰანში—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის ღაზიებში.
საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверія“.** ტელეფონი № 227.

* * *

# სამკერვალო
## ქალთა ტანისამოსისა.

**გიღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად**
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.** (13—287—3)

* * *

ქართული თეატრი.
**საყველიერო რეპერტუარი**
**პარასკევს, 22 თებერვალს,**

I
## ორი ზმირი
ისტ. დრამა გურულების ცხოვრებიდგან.

II
## საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

—

შაბათს, 23 თებერვალს, 1902 წ.
**გადერიან გუნიას საბენეფისოდ**

I
## ძალა აღმართსა ჰხნავს
კომ. 4 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკ. სოლოვიოვიდგან.

II
## ანდერძით
დრამატიული სურათი 1 მოქმედ.

—

**კვირას, 24 თებერვალს,**
უკანასკნელი წარმოდგენა

I
## ფული და ხარისხი
კომედ. 3 მოქმ. აზიანისა

II
## ორღანო და ლეკვი
ფარსი 3 მოქ. გადმოკ. დ. ერისთავის მიერ.

**დასაწყისი 8 საათზედ.**
**ფასები ჩვეულებრივის.**
რეჟისორი ვ. გუნია.

* * *

## ექიმი
## ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ**

გადასწყვიტა ქართულის სცენის არტისტის
**ვ. ა. აბაშიძის**

## 25 წლის სასცენო მოღვაწეობა

იდღესასწაულოს ამა წლის 10 მარტს. გამგეობა, აცხადებს-რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.

თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (5—უ.—5)

## იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. **ავჭალის ქუჩა, № 85.**

* * *

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
## მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგიო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა.**
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ტელეფონი № 274.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

**ე. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი.** კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.** ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი.** დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო.** ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი.** სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი.**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

* * *

## ნ. ვ. გოგოლი

(† 1852 წ. 21 თებერვალს).

დღეს შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ისეთის იშვიათის ნიჭის მწერალი, როგორიც იყო ნ. ვ. გოგოლი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მწერალს რუსეთის ლიტერატურის წინაშე, რომელიც იმ შორეულს დროს, წარსულ საუკუნის პირველ ხანში, არ იყო მაინცა და მაინც დიდად განვითარებული და წარმატებული.

პუშკინსა და ლერმონტოვს,—ამ ორს დიდს მნათობს რუსეთის საპოეზიო ლიტერატურაში მოჰყვა გოგოლი, რომლის სამწერლო მოღვაწეობამ დიდი და ღრმა კვალი დააჩნია რუსეთის ლიტერატურას. ამ მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა დღესაც არ დათავებულა. და თუ დღევანდელი ლიტერატურა რუსეთისა გადიფურჩქნა და გაძლიერდა, მიზეზი ამისი არის, სხვათა შორის, გოგოლის დიდი ნიჭი და მისი გენიოსობით აღბეჭდილი სალიტერატურო ქმნილებანი.

მთელი განათლებული ქართველობა იცნობს მის უმთავრესს ნაწარმოებს, როგორიც არის, მაგალითად, მისი კომედია „Ревизоръ“-ი, **Старосвѣтскіе помѣщики**“, „**Мертвыя души**“ და სხვ. ზოგიერთი მისი თხზულება ქართულადაც არის თარგმნილი და დაბეჭდილი წინანდელ ჩვენს ჟურნალებსა და გაზეთებში. თარგმნილია, მაგალითად, „რევიზორი“, „შინელი“, „შეშლილის წერილები“, როგორ წაეჩხუბა „ივან-ივანიჩი ივანე ნიკიფორიჩს“ და სხვ.

უმთავრესი ხასიათი და ნიშნობლივი თვისება ნ. გოგოლის შემოქმედობისა არის იუმორი, უბოროტო დაცინვა იმათი, ვინც ასცდენია ადამიანურს ცხოვრებას, დაუკარგავს აზრი სიცოცხლისა და გონივრულად-კი არა სცხოვრობს, არამედ პირუტყვისა და ქვეწარმავალივით დაღოღიალობს ამ დედა-მიწის ზურგზედ უაზროდ, უგონოდ, უგრძნობოდ; გოგოლი დასცინის იმათ, ვის გულშიაც არ ჩაუშუქებია ცხოველ-მყოფელს სხივს ადამიანობისას, მაღალსა და მადლიანს გრძნობას სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარეობისას, საზოგადოებისა და ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებისას.

გოგოლის უბოროტო იუმორი და „სიცილი ცრემლებ შორის“ გამოწვეულია მაშინდელ რუსეთის განუვითარებლობით, უმეცრებით, მაშინდელ საზოგადო წეს-წყობილობის უვარგისობით და უმზგავსობით. მისი შემოქმედობა დამყარებულია ცხოვრების სინამდვილესა და სიმართლის გამოხატვაზედ. მწერალი თვითონვე ამბობს, „მხოლოდ ის ნაწერი გამოვიდოდა ხოლმე რიგიანი, რაც აღებული მქონდა ნამდვილ ცხოვრებიდგან რასაც დავამყარებდი ხოლმე იმ ფაქტებზედ, რომელიც თვით მე კარგად ვიცოდი“... „ჩემმა ფანტაზიამ არც ერთხელ არ მიწყალობა არც ერთი შესანიშნავის ხასიათის კაცი, არ შემაქმნევინა არც ერთი ისეთი რამ, რაც სადმე ნამდვილად ნახული არ მქონოდა ცხოვრებაში“.

მართალნი არიან გოგოლის კრიტიკოსები, როცა ამბობენ, რომ ამაზედ მდაბიოდ აღარ შეიძლება გამოიხატოს ის ღრმა საფუძველი რეალიზმისა, რომელიც უმთავრესი თვისება იყო მისის ნიჭისა. მაგრამ მისი დიდი ნიჭი კიდევ უფრო ის იყო, რომ ნამდვილად ნახულს და შენიშნულს წვრიმალს გოგოლი «ქმნილებათა გვირგვინად» გადააქცევდა ხოლმე.

ასეთი სასწაულთ-მომქმედი იყო ნიჭი იმ კაცისა, რომლის ხსენებას დიდის ამბით დღესასწაულობს დღეს მთელი რუსეთი.

რუსეთის ნიჭიერ მწერლებს ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. ბავშვობიდგანვე ითვისებენ მათს შესანიშნავს ნაწერებს ჩვენი მოზარდნი, ჩვენი შვილები. ითვისებენ და ეჩვევიან ადამიანურს ფიქრსა და გრძნობას, ითვისებენ საკაცობრიო იდეალებს, პროგრესიულს მისწრაფებას. ამ მხრივ, რუსეთის დიდებულნი მწერალნი: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი ისევე ძვირფასნი და საყვარელნი არიან ჩვენთვის, როგორც ჩვენივე საკუთარნი მადლიანნი მწერალნი და მგოსანნი. ამიტომ ცხადია, რომ დღევანდელი დღესასწაული მთელის რუსეთისა,—ეს დღესასწაული ადამიანის გონების შემოქმედებისა, ეს პატივისცემა ნიჭისა და ღირსებისა—ისეთივე დღესასწაულია ჩვენთვის, როგორც რუსთათვის.

მეცნიერება და შემოქმედობის ნიჭი, თუ ეროვნულს ნიადაგზე აღმოსცენდება ხოლმე, სამაგიეროდ, გავლენა და ძლევა-მოსილება მისი სამზღვარ-დაუდებელია და წრე-შემოუწერელი, ნაყოფი მისი ყველასათვის ტკბილია და სასარგებლო.

იგია ისეთი ნათელი, რომელიც ყველასთვის ჰნათობს, რომელიც ყველას ათბობს და აცხოველმყოფელებს.

## სეტყვა და მის წინააღმდეგ ბრძოლა
### III

წინა წერილში ჩვენ ვეცადეთ დაგვენახვებინა მკითხველისათვის, როგორ დაიწყო და განვითარდა დასავლეთ ევროპაში საქმე სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლისა მორტირების სროლით. ეხლა საჭიროა გამოვარკვიოთ, რამდენად და რა გზით შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში ამ საქმის მოწყობა.

ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაში პირველი საკითხი ეს არის: რა ეღირება ამ საქმის განხორციელება და თუ ამ მხრივ დაბრკოლება არ დაგვხდა და ჩვენის მამულის დაცვა სეტყვისაგან ძვირად არ დაგვიჯდა, მაშინ შეგვიძლიან სხვა საკითხების გამორკვევასაც შევუდგეთ.

ცნობები მორტირების სტანციის ღირებულობის შესახებ არც ჩვენში და არც რუსეთში არა გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხარჯს, რომელიც გასწია შარშან საუფლის-წულო მამულის გამგეობამ კახეთში გამართულ საცდელ სტანციის შესანახავად. ჩვენ ამ ცნობებს დავუბრუნდებით, ეხლა-კი ისევ ევროპის პრაქტიკას მივმართოთ და ვნახოთ, რა უჯდებათ იქ ერთის დღიურის მამულის დაცვა სეტყვისაგან.

გამოკვლეულია, რომ სტანციის მოწყობის ხარჯი უდრის 160—250 ფრანკს*). ამ ფულის უმეტესი ნაწილი 100—180 ფრანკამდე უნდება მორტირის შეძენას; ფარდულის აშენება იწვევს 30—50 ფრანკამდე ხარჯს და სხვა მოწყობილობის შეძენა 20—40 ფრ.

სტანციის მოსაწყობ ხარჯს უნდა მიემატოს ყოველ წლიური,—სახელდობრ: თოფის წამალი თითო სტანციაზე 40—70 ფრ., მსროლელთა დაზღვევა—10—15 ფრ. და მასალის შენახვა 10—20 ფრ.

ძნელია, რასაკვირველია, წინადვე სთქვას კაცმა, რამდენ ხანს გასძლებს მორტირა, რომ ამის დაგვარად გამოიანგარიშოს ყოველ წლიური ხარჯი, მაგრამ ევროპაში გამოანგარიშებული აქვთ, რომ იქ, საცა ხშირია სეტყვა და, მაშასადამე, მორტირების სროლაც, მორტირების ფასის ამორტიზაცია 4 წლის განმავლობაში ხდება; ამ ნაირი წესი მორტირის ფასის დაფარვისა მიუღიათ იტალიის რამდენსამე სინდიკატს. მაგალითად მოგვყავს კონეელიანოს სინდიკატის ანგარიში, გამოქვეყნებული 1899 წელს.

ამ წელიწადს მოაწყეს 87 სტანცია, რომელიც დაჯდა სულ 13,824 ფრანკი. ხოლო ამავე 87 სტანციის შენახვა 7,747 ფრ. 35 ს.

ამნაირად ერთის სტანციის მოწყობა ღირდა 158 ფრ. 90 ს. და შენახვა 89 ფრ.

მანძილი ამ სტანციებს შორის უდრიდა 800—1,200 მეტრს*), მაშასადამე, 87 სტანცია იცავდა 9,000 ჰეკტარს. ამ რიგად ერთის ჰეკტარის დაცვის ხარჯი უდრიდა 239 ფრანკს, ხოლო ეს ფული ამ ნაირად უნდა განაწილდეს: მოწყობა—1,53 ფრანკი და მიმდინარე ხარჯი—0,86 ფრანკი. თუ მოწყობის ხარჯს ოთხად გავანაწილებთ, მაშინ ერთის ჰეკტარის დაცვა სეტყვისაგან ეღირება 1,63 ფრანკი და ჩვენებურს დღიურს-კი, ამავე ანგარიშით, მოუნდება თოთხმეტი შაური.

ლიონის უკანასკნელ კონგრესზე გამოირკვა, რომ 800—1,200 მეტრი მანძილი სტანციებს შორის დიდია და სასურველ მანძილად 500 მეტრი მიიჩნიეს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოწყობისა და შენახვის ხარჯი ასის ჰეკტარის მაგივრად ოც და ხუთზე განაწილდება და, მაშასადამე, ერთის ჰეკტარის დაცვა 1,63 ფრ. ნაცვლად 6,52 ფრანკი ეღირება;

---

*) ფრანკი ეხლანდელის კურსით უდრის დაახლოვებით 40 კ.

*) მეტრი არშინ ნახევარს უდრის.

ამ ანგარიშის კვალობაზე, ერთის დღიურის დაცვის ფასი იქნება 1 მან. 30 კაპ.

ვილეფრანშის სამეურნეო სინდიკატის თავმჯდომარემ შატილიონმა, რომელმაც მოაწყო დენისეს სტანციები და განაგებს მათ, ასეთი ანგარიში გამოაქვეყნა:

მოწყობა:

| | |
|---|---|
| მორტირა (ვერმერელის მოდელი) | —220 ფრ. |
| „ მოწყობილობა | —40 „ |
| ფილთა, კაფსულები და სხ. წვრილ. | —10 „ |
| ფარდულის აშენების ხარჯი | —50 „ |
| გადატან-გადმოტანა | —10 „ |
| სულ | 230 ფრ. |

წლიური ხარჯი:

| | |
|---|---|
| თოფის წამალი | 48 ფრ. |
| მსროლელთა დაზღვევა | 12 „ |
| ხელთ-საწყობი | 12 „ |
| სულ | 72 ფრ. |

რადგან სეტყვა საფრანგეთში უფრო იშვიათია, ვინემ იტალიაში, მორტირაც მეტ ხანსა სძლებს, და ამის გამო სტანციის მოწყობის ხარჯი 4 წლის მაგივრად 8 წლის განმავლობაში იფარება;—ერთის ჰეკტარის დაცვის ხარჯი 4 ფრანკს უდრის და ერთის დღიურისა ოთხ აბაზს.

საუფლისწულო მამულის გამგეობამ შარშან ნაფარეულში მოაწყო სეტყვის სასროლი სტანციები და წრეულს განიზრახა მუკუზანის მამულშიაც მოაწყოს. აი, ამ სტანციების გამართვის ხარჯთ-აღრიცხვა *):

| | |
|---|---|
| 15 მორტირის შეძენა, თითო 125 მ. | —1,875 მ. |
| 15 ქოხის აშენება და მორტირების მოწყობა | —1,500 „ |
| თოფის წამალი, თითო სტანციისათვის ათი ფუთი, ფუთი 5 მანეთის კვალობაზე | 750 მან. |
| სხვა მასალები | 75 „ |
| 15 კაცის დაზღვევა | 105 „ |
| თოფის წამლის შესანახ სარდაფის აშენება | 400 „ |
| მოულოდნელი ხარჯი | 75 „ |
| სულ | —4,705 მან. |

ამ ფულიდგან სტანციის მოწყობის ხარჯი შეადგენს 3,700 მან., ხოლო ყოველ-წლიური 1,005 მან.

სტანციის მოწყობის ხარჯი რომ განაწილდეს რვა წელიწადზე,—15 სტანციის შენახვის წლიური ხარჯი იქნება 1,467 მანეთი. და რადგან ერთი სტანცია 50 დღიურს მიწას იცავს სეტყვისაგან, ერთის დღიურის დაცვა ეღირება 1,467 : 750=1 მ. 96 კაპ.

ზემოხსენებულიდგან ცხადად სჩანს, რომ მორტირების სტანციების მოწყობა და მათი შენახვა და მოხმარება მამულს ისე მცირე ხარჯად ედება, რომ საეჭვოა მემამულემ არ იკისროს ასეთი ტვირთი, მაგრამ ძნელი ის არის, რომ საქმის დაწყებას ერთბაშად არა მცირედი ხარჯი უნდება და ჩვენი, ქონებრივად დაძაბუნებული, მემამულე, რომელიც მომავალ შემოსავლით სცხოვრებს, სწორედ ამ ერთად გასაღებ ხარჯს შეუშინდება. შეუშინდება-მეთქი, იმიტომ-კი არა, რომ არ ინდომებს თავის მამულის დაცვას სეტყვისაგან, არამედ იმიტომ, რომ ვერ შესძლებს ერთად დიდის ფულის გამოღებას.

ამ მხრით დიდად საყურადღებოა სარჩიელი, რომელიც წარუდგენია ბ-ნს ქურულს სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისათვის.

ზედამხედველის კომიტეტის განკარგულებაში არის ესრედ წოდებული ექსტრა-ორდინარი თანხა, რომელსაც ყოველ წლივ ემატება ბანკის მოგების 5%, ანუ დაახლოვებით წელიწადში 10,000 მანეთი. ამ ფულის დანიშნულებაა შემწეობის აღმოჩენა იმ აზნაურთათვის, რომელნიც დაზარალდებიან სტიქიონურის უბედურობისაგან.

ბ-ნის გ. ქურულის სიტყვით, რაც ბანკი არსებობს, ამ ფულიდგან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დახმარებისათვის გაცემულა 117,000 მანეთი და უმეტესი ნაწილი ამ ფულისა, დაახლოვებითის ანგარიშით 95% რგებიათ იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც სეტყვისაგან დაზარალებულან.

ეს ფული დიალამც დიდს შემწეობას აღმოუჩენდა დაზარალებულთ, მაგრამ ამგვარი შემწეობა ზარალს მერმისში ვერც დააბრკოლებდა და ვერც მოსპობდა. ეხლა-კი, როცა სეტყვის საბრძოლი საქმე ისეთს მკვიდრს ნიადაგზეა დაყენებული, რომ გამარჯვების ეჭვი აღარავისა აქვს, აწინდელი წესი შემწეობის აღმოჩენისა უადგილოც გახდა და უსაფუძლოც და ამის გამო ბ-ნი ქურული ზედამხედველს კომიტეტს ურჩევს, დაზარალებულ მემამულეთ ზარალს ნუ-კი ვუზღავთ, თვით ზარალის მიზეზს ვეწინააღმდეგოთო.

„სანამ არ იყო სეტყვის წინააღმდეგი ღონისძიებაო, ამბობს ბ-ნი ქურული, ექსტრა-ორდინარ თანხის განაწილება დაზარალებულ მემამულეთა შორის წესიერი და საჭირო იყო, ეხლა-კი როცა მეცნიერებამ და ტეხნიკამ კაცს ხელთ მისცა იარაღი სეტყვას შეებრძოლოს და გააქარწყლოს, ზედამხედველმა კომიტეტმა უნდა შესცვალოს წესი ამ თანხის განაწილებისა იმ სახით, რომ დაზარალებულთა შემწეობის ნაცვლად, შემწეობა მეურნეობას მიეცეს თვით ზარალის მოსპობით.

„მრავალი ადგილები ავსტრიისა, საფრანგეთსა, იტალიასა და ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოში, მოფენილია მორტირების სტანციებით. სეტყვის გასაქარწყლებლად ორის წლის პრაქტიკამ თვალ-საჩინოდ დაგვანახვა, რომ კაცობრიობამ იპოვა ნამდვილი ღონისძიება სეტყვის წინააღმდეგ.

„ეხლა დასავლეთ ევროპაში ყველგან ცდილობენ გაამრავლონ ამ გვარი სტანციები და ეს მით უფრო ადვილია, რომ სტანციის მოწყობა და მისი ხელ-მძღვანელობა რთულსა და ძნელს საქმეს როდი შეადგენს.

«ამისთვის საჭიროა, რომ ყოველ წლივ გადავდოთ ექსტრა-ორდინარი თანხიდგან რამოდენიმე ნაწილი მორტორების სტანციების მოსაწყობად ტფილისის გუბერნიაში. ყოველ წელიწადს რომ ხუთას-ხუთასი თუმანი გადავდოთ, რამდენისამე წლის განმავლობაში ჩვენი გუბერნია მოიფინება ისეთის სტანციებით, რომელნიც ასი ათასობით შესძენენ ჩვენს მეურნეობას.

«მორტირების სტანციების გამრავლებით ჩვენი ბანკი ხიფათისაგან დაიხსნის ძვირფასიან კულტურას, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც მემამულეთ, ისე თავისს თავსაც.

„მარტო ამ გზით შეიძლება მეურნეობის დახმარება და ამავე დროს ბანკში დაგირავებულ მამულებს გაუადვილდებათ ბანკის გადასახადის შეტანა„.

ბ. ქურულის რჩევას მიემხრო ზედამხედველი კომიტეტი და ცალკე კომისია ამოირჩია იმ საგნის გამოკვლევისათვის, რომ მომავალ საზოგადო კრებას თავისი მოხსენება წარუდგინოს. არ ვიცით რითი ხელმძღვანელობდა ზედამხედველი კომიტეტი, როცა ამ გადაწყვეტილებას დაადგა, ეს კია, რომ სადგილ-მამულო ბანკის წესდების ძალით ექსტრა-ორდინარი თანხა ზედამხედველის კომიტეტის განკარგულებაშია და არ გვესმის რად დასჭირდა კომიტეტს ამ შემთხვევაში საზოგადო კრებისათვის მოხსენების წარდგენა.

ასეა თუ ისე, საქმე დაწყებულია და იმედია ზედამხედველი კომიტეტი ბ. ქურულის რჩევას სასურველ მიმართულებას მისცემს და თავისუფლებას ექსტრა-ორდინარ თანხის შესახებ ქვეყნისა და თვით ბანკის სასარგებლოდ გამოიყენებს.

უდიდესი ზარალი სეტყვისაგან კახეთს მოსდის—ჯერ იმიტომ, რომ აქ უფრო ხშირია სეტყვა, ვიდრე ჩვენის ქვეყნის სხვა კუთხეში და მერე იმიტომ, რომ უმეტესი ნაწილი კახელებისა მთელს თავისს კეთილდღეობას ვენახზე ამყარებს და ყველამ იცის, რა ზარალი მოსდის მევენახეს სეტყვისაგან.

უმეტესი ნაწილი კახეთის მევენახეებისა, როგორც მკითხველებმაც უწყიან, შეერთდნენ ამ რამდენისამე წლის წინად და დააარსეს ღვინის ვაჭრობის საზოგადოება „კახეთი„. ამ საზოგადოებამ უკვე გაითქვა სახელი და მათი საქმე მკვიდრად არის დამყარებული. წინადაც აღმოუჩენია კახელების საზოგადოებას თავისს წევრთათვის მრავალი დახმარება და, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ეხლაც თურმე აპირებს კახეთის მემამულეებს შეეწიოს ვენახების დაცვაში.

თუ ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და სხვა კერძო პირთა განზრახვა მორტირების სტანციების მოწყობის შესახებ გამართლდა, საჭიროა ერთს მცოდნე კაცს დაევალოს, როგორც ამ სტანციების მოწყობა, ისე ხელ-მძღვანელობა საქმისა. «კახეთის» საზოგადოებას განუზრახავს ამ მხრივაც დაეხმაროს საქმეს და აზრადა აქვს წელიწადში ას-ოცი თუმანი გადასდოს.

ასეთი დახმარება „კახეთის“ საზოგადოებისა დიდს შემწეობას აღმოუჩენს მორტირების სტანციების მოწყობის მსურველთ და შემდეგშიაც თვით საქმის წესიერ მსვლელობას ხელს შეუწყობს.

ვ. ყ—ნი.

---

*) არც ერთს ზემოდ მოყვანილ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი არ არის ის ხარჯი, რომელიც მსროლელთა დაქირავებას მოუნდება, რადგან, როგორც პრაქტიკამ გამოიკვლია, მეზრეები ასრულებენ მსროლელთა მოვალეობას და ამის გამო განსაკუთრებულ მსროლელის მოწვევა საჭირო არ არის.

# ახალი ამბავი

⁂ ტფილისში, სადიდ-მარხვოდ, ცნობილი არტისტები ჩამოდიან სავასტროლოდ. ოპერაში იმღერებენ ფიგნერი, პაჩინი (ბარიტონი), ტეტრაცინი (კოლორატ. სოპრანო) და პაული (დრამატ. სოპრანო); „არტისტულ საზოგადოებაში“ მოწვეულია ქ. პასხალოვისა; ამ თეატრშივე ათს წარმოდგენას გამართავს პრავდინი მოსკოვის პატარა თეატრის დასითურთ. სახაზინო თეატრი გაზაფხულისათვის დაუქირავებია დრამატიულ არტისტს ლუდვიგოვს.

⁂ გუშინ, 20 ამა თებერვალს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ყველა მასწავლებლების და შეგირდების თანადასწრებით 11½ საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი ნ. ვ. გოგოლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე გალობდა შეგირდებისაგან შემდგარი ხორო ამავე სკოლის გალობის მასწავლებლის ზ. ი. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

⁂ საჭიროა ქალაქის გამგეობამ და პოლიციამ ყურადღება მიაქციონ იმ ბოგირს, რომელიც გადებულია მტკვრის მარჯვენა ტოტზე ორთაჭალის ბაღებს შუა. ბოგირის ფიჭვის კოჭები თითქმის დამპალა და ზედ დაჭედილ ფიცრებს შიგა და შიგ ბევრი აკლია, ასე რომ ზედ გავლა შეუძლებელია თუ არა ხტომით.

⁂ „ნოვ. ობოზრ.“-ში ვკითხულობთ: «ნამდვილად გავიგეთ, რომ თ-დს ზაქ. გიორ. ერისთავს თავისი კასპის მამული, გორის მაზრაში, დაუნიშნავს საქალებო სასოფლო მეურნეობის სკოლისათვის.“

⁂ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად წარდგენილია დასამტკიცებლად „ტფილისის ელექტრონულ ფუნიკულერის საზოგადოების“ წესდების პროექტი. ეს საზოგადოება არსდება სააქციო წესით ტფილისის ინჟენერის ა. კ. რობის მიერ, მთაწმინდაზე ფუნიკულერის აყვანისა და ექსპლოატაციისათვის. ძირითადი თანხა საზოგადოებისა 300,000 მანეთი იქნება. ეს თანხა დაყოფილია 1,200 აქციებად, თითო აქცია ეღირება 250 მან. ყველა აქციები ეკუთვნის თვით ინჟენერს რობის და იმათ, ვისაც რობი მოიწვევს ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. აქციები იქნება სახელობითი და უსახელოც. მმართველობა საზოგადოებისა ეკუთვნის გამგეობას, რომელიც უნდა იმყოფებოდეს ტფილისში. გამგეობაში იქნება ოთხი დირექტორი, აქციონერთა საზოგადო კრებისაგან ასარჩევი. ამ წესდების პროექტით საზოგადოებას ნება აქვს, კონცესიის მიღებისა და სათანადო ნება-რთვის შემდეგ გაიყვანოს თავისს ხარჯით აგრეთვე ტრამვაი ფუნიკულერის ზემო სადგურიდგან კოჯორამდის.

⁂ „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ № 17-ში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ სანავთსადგურო მმართველობის შტატები ჯერ კიდევ ძალაში დარჩეს ბათომისა, სანკტ-პეტერბურგისა, რიგისა, ოდესისა, ნიკოლაევისა და ბერდიანსკის ნავთ-სადგურებში.

⁂ დღეს, 21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების წევრთა. განსახილველ საგნებად დანიშნულია მიმდინარე წლის ანგარიშები,—არჩევა სტატისტიკურ ბიუროს და საფილოქსერო კომიტეტის წევრთა, განხილვა საზოგადოების გაზეთის „კავკასიის სასოფლო მეურნეობის» შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და ვენახისა და ტფილისის საბაღოსნო ბაღის საწამლ ნივთიერებათათვის ბიუროს დაარსება.

⁂ დღეს, თებერვლის 21-ს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში და ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნება პანაშვიდები რუსთა დიდებულ მწერლის გოგოლის სულის მოსახსენებლად. ალექსანდრე ნეველის ტაძარში პანაშვიდს დაესწრება სამოსწავლო მთავრობა და სასწავლებელთა მოწაფეები.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭომ უკანასკნელს სხდომაზე გადასწყვიტა: ა) ქალაქის შენობებზედ დაფასებით გადასახადათ დაედვას სახლისა და სხვა შენობების პატრონებს წმინდა შემოსავლის კვალობაზედ—7½%; ბ) მიიღონ აღსასრულებლად, თანახმად გუბერნატორის მოთხოვნილებისა, ხორცის სამ ხარისხად დაყოფის სავალდებულო დადგენილება; გ) გადაიდვას 1,625 მანეთი ქალთა სიფილიდიურ საავადმყოფოს შესაკეთებლად და იქვე სარეცხის საშრობ ფარდულის აშენებლად.

## იმერეთის ამბები:

⁂ ყვირილის მეორე ხიდზე, რომელსაც აქ «ზემო ხიდს» უწოდებენ, ფიცრები ძალზე დამპალა, ასე რომ ზოგი ერთ ალაგას ალაბის სიგძეზედ ისე ჩაქცეულა, რომ, თქვენი მტერია, მასზედ ვინმე უცხო მგზავრმა ღამე გაიაროს, შეუძლებელი იქმნება სადმე ფეხი არ ჩაიმტვრიოს. ნამეტურ საყურადღებოა ამ ხიდის ერთი მხრის ბოლო, სადაც ხიდის კიდური ფიცრები მთლად დაშლილა და მგზავრი თუ ერთობ ფრთხილად არ იქმნა, რაიმე ხიფათი შეემთხვა. ეს დღისით და ღამე რა იქმნება, უწყის ღმერთმან.

⁂ ყვირილაში ბ-ნ გაჩეჩილაძის სტამბაში, დღემდე მისის არსებობისა, სულ 2 წლის განმავლობაში, 15 ქართული სხვა და სხვა სახალხო წიგნი დასტამბულა. აქვე, ყვირილაში, გადმოიტანა ქუთაისიდგან სტამბა დეკ. დავით ღამბაშიძემ, სადაც «წყემსი» იბეჭდება. ამ ნაირად ამ ჟამად ყვირილაში ორი სტამბა არსებობს: ერთში იბეჭდება მხოლოდ «მწყემსი» და მის რედაქტორის საქმეები და მეორეში, მ. გაჩეჩილაძის სტამბაში, სხვა და სხვა ქარ-

# ფელეტონი

## ილა

(სურათი სოფლის ცხოვრებისა).

(დასასრული)

ერთ დღეს ჩემს ძმას ცხენები გადასვლოდა ყორუღში. მეველეები ჩასულიყვნენ სოფლად და ეჩივლათ. ჩემი ძმა შინ არ ყოფილიყო ამ დროს. მეველეებს მაინც დაერბიათ ჩვენი სახლი. თურმე ჩემმა დამ გამოიტანა ჩემი საკუთარი, ცოლის მზითევში მოყოლილი ქვაბი და ის მისცა მეველეებს. მეველეებსაც სოფლის მოხელეებთან ერთად დაეგირავებინათ ქვაბი დუქანში, აელოთ ფული და კარგა გადაეკრათ.

გავიდა თითქმის თვე, და-ძმა არაფერს მეუბნებოდა ამ შემთხვევაზე. ავატარე სოფლად ერთხელ ურემი; გადამიდგა წინ მედუქნე და მეუბნება:

— უთხარ, კაცო, შენ ძმას, რო მომაშოროს ეს გირაო თავიდგან, თქვე ოჯახ-დასაქცევნო ერთი ქვაბის დასახსნელი არაფერი გაბადიათ?!

— მე რა ვიცი, რო ჩემი ქვაბია დაგირავებული.

რასაკვირველია, მედუქნეს ნათქვამი ჩემ ძმას ვუთხარი. ჩემმა ძმამ გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— ჩვენი ქვაბი მედუქნეს რათ ექნება, მედუქნეს ჩვენი არაფერი აქვს გირაოდ!

ვიფიქრე, მედუქნე თუ შესცდა და სხვა ეგონე-მეთქი.

ურემი რო ჩავატარე და მედუქნეს ვუამბე ჩემი ძმის ნალაპარაკევი, შემიყვანა დუქანში და მიჩვენა გირაო ქვაბი. ჩემი ქვაბი ვიცანი და საშინლად გავბრაზდი.

მოვაბრუნე მაშინვე ურემი, მოვიყვანე შინ მედუქნე და ჩემ ძმას შიგ პირში მივაფურთხე, მაგრამ ე ხეს ელაპარაკე, შეასმენ რასმე. მითხრა, დამავიწყდაო, გამოისყიდა ქვაბი და ამით უნდოდა თავიდგან მოვეშორებინე.

მაგრამ მე მოვისვენებდი, მოვშორდებოდი? მოვხსენ ყბა, მივადექ და დაუწყე ლანძღვა. მინდოდა ამ ლანძღვაში ბრაზი გამეხეთქა, ბოლმა მომეხსა გულზედ.

— დაჩუმდი!—დამჭყივლა ძმამ.

მე უარესად გავჯავრდი, ლანძღვას მოვუმატე.

— ემანდ ნუ ილანძღები, თორემ გიჩვენებ მე შენ სეირს!—დამიყვირა ჩემმა ძმამ, წამოავლო ჯოხს ხელი და საცემად მოიწია.

სიბრაზით სულ ვკანკალებდი, ხელებს ვიმტვრევდი, ხორცს ვიგლეჯდი. მე ის მაჯავრებდა, ის მშლიდა ჭკუაზედ, რო ჩემი ძმა არ დასჯერდა უსვინიდისოდ ჩემ ცარცვა-ტყუებას და ცემასაც მიპირებდა.

ახლა ჩემი სისულელე ნახეთ. იმის მაგივრად, რო მე მეცემნა ჩემი ძმისთვის, გავუსხლტი ხალხს ხელიდგან, ჩაუვარდი ჩემ ძმას ფეხებში და დავუყვირე:

— დამკა, მამკალ, შე ოჯახ-დასაქცევ-მეთქი!

როდესაც მართლა ჩამაზილა რამდენიმე წიხლი, მე კბილების ღრჭიალების და „ოხ, ტა-ტა-ტა“-ს და გმინვის მეტი ვერაფერი მოვახერხე.

ახლა-კი გადავწყვიტე, გავყროდი ჩემ ძმას. აბა, ამის შემდეგ, როგორ-ღა მომეხერხებინა იმასთან ცხოვრება. დავიბარე მედიატორეები, სუდიები, მამასახლისი და ვთხოვე სვინიდისიერად გაეყოთ ჩვენთვის ჩვენი სარჩოსაბადებელი.

ჩემმა ძმამ ბევრი ილოტა, ბევრი დამალა, ბევრიც დაამალვინა სუდია-მედიატორეებს და ამის გამო, რასაკვირველია, მე მაგდენი არაფერი შემხვდა.

უკმაყოფილო დავრჩი ამნაირი განაწილებისა. კიშოვე ერთი კეთილი კაცი, დავაწერინე საჩივარი და საქმე დიდ სასამართლოში გადავიტანე. დაინიშნა გამოძიება, ბოქაულიც მოვიდა, გამოიკითხა ყველაფერი და გაგზავნა ქაღალდები, სადაც საჭირო იყო.

მე მითხრეს, რომ სამართალი მაზრის უფროსს გამოუგზავნის თავისს გადაწყვეტილებას, მაზრის უფროსი ბოქაულს და ბოქაული კიდევ ჩვენს მამასახლისს გადასცემს სისრულეში მოსაყვანადო.

რამდენიმე თვე ველოდი ამ სანატრელ გადაწყვეტილებას, მაგრამ, არ იქნა და არა, არაფერი მომივიდა.

ძალიან ხშირად ვკითხულობდი ხოლმე ჩემი საქმის ამბავს ჩვენს კანცელარიაში, მაგრამ მწერალი ერთსა და იმავე სიტყვებს მიმეორებდა:

— კაცო, ცოტა რატომ ვერ მოგითმენია, რა იყო, რა დაგემართა, რომ მოსულიყო რამ, ხომ ჩვენ თითონ შეგატყობინებდით!

გამიწყდა ილაჯი, დავკარგე მოთმინება ბევრი ლოდინით. ის იყო, დავაპირე ჯერ ბოქაულთან და მერე, თუ საჭირო იქნებოდა, მაზრის უფროსთან წასვლა, რომ ამ დროს მწერალს და მამასახლისს რაღაც უთანხმოება ჩამოუვარდათ ერთმანეთში. მამასახლისმა ხალხი აუჯანყა და მწერალი ადგილიდგან დაათხოვნინა.

ერთ კვირა დღეს დუქნისკენ ჩამოვიარე. აქ კარგა ბლომა ხალხი შეყრილიყო. დავენახე ადგილიდგან დათხოვნილ მწერალს. მწერალი მოვიდა ჩემთან, გამიხმო ცალკე და მითხრა:

დიდი ხანია შენი საქმის შესახებ შენთვის საკეთილო და სასარგებლო ბრძანებაა მოსული, მაგრამ მამასახლისი, რადგან შენი ძმიდგან დაქრთამულია, არ აჩენსო.

არა, როდემდის უნდა ემალათ იმ ოჯახ-დასაქცევლებს ეს ბრძანება; ე, შენა თქვი, რომ რაღაც ეშმაკი შეაჯდება კაცს მხარზედ და იმას აკეთებინებს, რაც ჩასადენი არ არის.

სიბრაზისაგან მთლად დავიბნე, ავენთე, თითქმის გავგიჟდი. ჯერ ვიფიქრე, მოდი ამ მწერალს ვწვდები ყელში და აქვე დავახრჩობ-მეთქი. იქნებ ასეც მექნა, მაგრამ თავის საბედნიეროდ მწერალმა, რა დაინახა ჩემი არეული თვალები, თავი დამანება და ხალხში შეერია.

ვიდექ გაქვავებული ერთს ადგილს და ვფიქრობდი: რას მემართლებიან, მასხარად რათ მიგდებენ, მიწასთან რათ მასწორებენ-მეთქი.

არ ვიცოდი ამ დროს ვისზედ უფრო გაჯავრებული ვიყავ, რადგან, როგორც ჩემს ძმას, ისე მამასახლისს, მწერალს და სხვასაც, ვინც ხედავდა ჩემს მასხარად აგდებას და არა მპატრონობდა, მოსისხლე მტრებად ვუყურებდი.

ვიფიქრე, მოდი წავალ, დავიღუპები, მოვშორდები აქაურობას-მეთქი და აქეთ კალოებისაკენ ფეხ-აჩქარებული წამოვედი.

მოვედი, მაგრამ ვაი იმ მოსვლას. დიდი ბოღმა, დიდი ბრაზი მიღრღნიდა გულს, ყელში მიჭერდა, მახრჩობდა. ეს ოხერი მეტირებოდა, მაგრამ ვერა ვტიროდი, მხოლოდ უცრემლოდ ვგმინავდი და ვღმუოდი ძაღლივით, ვღმუოდი მე და ჩემმა ღმერთმა. დავკარგე მოსვენება, არც ძილი იყო ჩემთვის, არც ჭამა; გახურებული შუბლით, გახურებული ტანით, როგორც ცეცხლში, მთელი ღამე ვტრიალებდი ნაბად ქვეშ და ათასი ნაღვლითა და ძმარით სავსე ფიქრი თავიდგან არ მშორდებოდა.

რო ველარ ვუძლებდი მწარე ფიქრსა და ბრაზს, წამოვხტებოდი და გიჟივით კალო-კალო დავრბოდი. დავრბოდი, არ ვიცი რათ, ვის ვეძებდი. ამ სიგიჟის დროს ორ სათივეს წავუკიდე ცეცხლი, ერთს ჩვენსას და მეორე სტეფანესას. ამბობდენ, სტეფანეს მტრობით უყვესო. რის მტრობა, რის ფლავი, რის ჩლავი, სტეფანესაგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს. მაგრამ ამ გაბრაზებულ და დადარდიანებულ გულზე ქვეყნის დანგრევა მინდოდა?!

მაგრამ ვერც ამით ვიქარვებდი გულის დარდს. რო გამიჭირდა და ველარ დავძარ ჩემი დარდი, ავდექ და სოფლისკენ წამოველ. ვიფიქრე, ჩემს საქმეს, როგორც იქნება დავაბოლოვებ და იქნებ მოვისვენო-მეთქი. მოველ სოფელში და, არ ვიცი რისთვის, ჩემის ძმის სახლისაკენ გავწიე. როცა გავეყარე ძმას, ცალკე სახლი გავიკეთე, ცალკე ვცხოვრობდი. შევედი ჩემი ძმისას, გავიშალე ტახტზედ და ქვითინი ამოუშვი, მინდოდა იქაურობა გადმომენგრია, მაგრა ვგრძნობდი, რო ეს ძალიან ცოტა იქმნებოდა ჩემი და-ძმისათვის და ამიტომ არაფერს ვაშავებდი.

— რა ღმერთი გაგწყრომია, რა გღრიალებს, ეგდე, დაიღუპე აქედგან! დამჭყივლა დამ.

— როგორ? დავიღუპო?! მაშ კარგი!—დავიღრიალე მე, წამოვავლე თანშემოყოლილს სახრეს ხელი, წამოვაქციე ჩემი და და, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაუწყე ცემა. ვცემდი უწყალოდ, შეუბრალებლად. მეზობლებმა გვიან გაიგეს ჩემი დის კვილი, და ამიტომ კარგა ხანი ვზეპე.

მახსოვს, როცა შემოშველებულმა მეზობლებმა ჩემ დას ტანისამოსი გახადეს, ვნახე, რო ზურგი მთლად დალურჯებული და დაკაპიჭებული ქონდა, ზოგან კანი გახეთქოდა

ეროვნული

თული წიგნები და რაც-კი ადგილობრივ სა-ბართ დასაბეჭდი საქმეები არის.

* * ყულევის (რედუტ-კალე, ზუგ. მაზრა) მცხოვრებნი თხოულობდნენ ქუთაისის ოლქის სასამართლოსა და ტფილისის სამოსამართლო პალატის შუამდგომლობით, რომ მათი დაბა მიეწერნათ ფოთის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებისათვის და არა ზუგდიდისა, როგორც აქამომდე იყო. ახლა, როგორც «ჩერნომ. ვესტ.» გადმოგვცემს. იუსტიციის მინისტრს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა და ყულევი ამიერიდგან ჩაირიცხება ფოთის მომ. სასამართლოს განყოფილებაში, რაც ძლიერ სარგა იქნება ყულეველთათვის, როგორც ფოთის სიახლოვისა გამო, აგრეთვე იმიტომაც, რომ ამ ქალაქთან მჭიდრო საალებ-მიცემო კავშირიცა აქვთ.

## ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

დღეს, 17 თებერვალს, შესდგა მეორე წლიური წვეულებრივი კრება აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, რომელშიაც დღეს უკვე ორას ოთხი წევრი ითვლება ცხრამეტ ათას ორას თოთხმეტი მანეთის წილის ფულით.

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას მოჰმატებია 36 წევრი. მთელი აღებ-მიცემობა საზოგადოებისა საანგარიშო წელს ასულა 320,000 მანეთამდის. საწევრო ფულს გარდა, საზოგადოებას აქვს მიაბარებული ფული ვადით 20,669 მანეთი და უვადოდ (მიმდინარე ანგარიშებით) 8,939 მანეთი. რამდენად მოძრავი ხასიათი ჰქონია მიმდინარე ანგარიშებით შემოტანილ ფულს, იქიდგან სჩანს, რომ წლის განმავლობაში ამ ანგარიშებით საზოგადოებას მიუღია 96,547 მან. და დაუბრუნებია 94,587 მანეთი.

ხონი, არა თუ ქუთაისის მაზრაში, თითქმის გუბერნიაშიაც თვალ-საჩინო სააღებ-მიცემო პუნქტია, სადაც პარასკევობით შეხვდებით ჩვენის ქვეყნის ნაწარმოებთა მყიდველ-გამყიდველს — შორეულ კუთხეებიდგან მოსულებსაც-კი.. ამიტომ აქაურ საკრედიტო დაწესებულებას კარგი მერმისი მოელის, თუ ამ ნორჩის საზოგადოების წევრნი მოთავენი ძველებურად ერთგულობას გაუწევენ და ყველაზე წინ საქმეს დააყენებენ და არა პირად ანგარიშებს.

საზოგადოების დაარსების მოთავეს, გამგეობის თავმჯდომარეს დოქ. მ. ბახტაძეს ორის წლის უსასყიდლოდ მუშაობის შემდეგ საზოგადოებამ წელს დაუნიშნა წლიურად 800 მანეთი ჯამაგირი, ორს წევრს გამგეობისას (დირექტორებს) ეძლევა ორივეს 650 მანეთი. მთელი საკარაულო ხარჯი ადის 3,500 მანეთამდის.

კრებას დაესწრო ნახევარზე მეტი (104) წევრი. კრებამ მცირე ოდენი ქველ-მოქმედებაც გამოიჩინა: თავის ისედაც მცირე დივიდენდს (დივიდენდად დარიგდა 5%, შარშან-კი 3%) ას მანეთამდის მოაკლო, რომელიც გაუნაწილა ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელს, სამკითხველოს და ს. ივანდიდში ცეცხლით დაზარალებულებს.

**სოფლელი.**

# დაბა და სოფელი

**თელავი.** ვგონებ დიდს ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც გაუწყეთ, რომ დაიწყო ახალი სეზონი ეკლესიების გაქურდვისა მეთქი. დიაღ დაიწყო და ჯერ-ჯერობით კარგადაც მიდის, არ ახანებენ. წარსულ კვირაში კურდღელაურის კავთის ეკლესია გააბედნიერეს, ამ კვირაში კიდევ მიულოცეს ს. კოლოთის უსანეთის ეკლესიას და მთლად დაანელეს. რომ შეხვიდეთ შიგ და სამი დღე ხელები აფათუროთ, ვერას მოახვედრებთ კედლების მეტს, ისეა გაწმენდილი. იმედია, თუ ასე იარა ამ საქმემ ამ ზამთრობით, სანამ დიდოეთისკენ პირდაპირ გადასავალი გზები გაიხსნება, გამოღმა მხარის ეკლესიები გაიწმინდება და გაზაფხულზედ, უეჭველია, გაღმა მხარისას მიჰყოფენ ხელს. ეს ერთის მხრივ არც სულ უსარგებლო იქნება, აღარც მღვდლები და აღარც ერი აღარ შეგვიწუხდებიან ეკლესიებში სიარულით და გვერდების გამოყინვით.

წინადაცა ვსთქვი და ეხლაც ვიმეორებ, ჩვენი ეკლესიები უყურადღებოდ არის დატოვებული. მღვდლები და დიაჩოქები სცხოვრებენ სადმე სამის ვერსის სიშორეზედ ეკლესიიდგან და ყარაულებიც ან სულ არ არიან და ან წყალს მისაცემნი არიან. კოლოთის უსანეთის ეკლესიაც ამის მსხვერპლი შეიქმნა.

ვგონებ ახლა მაინც ადრე აღარ არის სასულიერო მთავრობამ სთხოვოს საერობო მთავრობას ამ საქმეში დახმარება. ადგილობრივ მეცადინეობა მღვდლებისა, წინადაც ვამბობდი, ფუჭია და უნაყოფო. მათს თხოვნავედრებას არავინ ყურს არ ათხოვებს. არც ის იქნება ურიგო, პასუხი მოეთხოვოთ იმ საზოგადოებათა მმართველთ, სადაც იქურდება ეკლესიები.

ამ ხანად-კი ყველაზედ უსაჭიროესია, ვინმე კეთილი და სათნოიანი ქრისტეანე გამოჩნდეს და კოლოთის ეკლესიას, თუ ძვირფასი არა, იაფ ფასიანი შესამოსი და სამკაული მაინც შესწიროს, თორემ სოფელი მეტად ღარიბია, ეკლესიას თვითონ არავითარი თანხა არ მოეპოვება და მთლად ამ სოფლის მცხოვრებნი მოკლებულნი იქნებიან წირვა-ლოცვასა და ზიარებას.

**მდ. ი. ხატიაშვილი.**

—

**ახალშენი ეკატერინენფელდი** (ბორჩალ. მაზრა). უშველებელი თოვლი მოვიდა. მთელი მოშავრის ხეობა თეთრად შეიმოსა. წარსულმა თბილმა დღეებმა ბევრი ბაღის ხეხილი ააყვავა, მაგრამ ახლა დიდი სიცივეები დაუდგა. ვაზს ძალიან ეტყობა სხმა. მინდორში ნათესები თაგვებით სავსეა, გერმანელებმა სოროებში თაგვის გასაწყვეტი წამალი ჩაჰყარეს და კიდეც შეატყეს, რომ ამ ბოლოს დროს ფრიად შემცირებულა მინდვრის დამაქცეველი მტერი.

ჯანდრიდგან (სადგური ყარსის რკინის გზისა) თუმცა ყოველ დღე ორი დილიჟანი დადის ახალშენამდე, მაგრამ დიდი უწესოება ჰსუფევს დილიჟანში ჩასხდომის დროს; ბილეთები არ არის შემოღებული და ვინც ძალას ხმარობს, მარტო ის იჭერს ალაგს; ყმაწვილები და მანდილოსნები-კი რჩებიან უალაგოდ. დილიჟანში ეტევა რვა კაცი. დროა, ვისგანაც ჯერ არს, განკარგულება მოახდინოს ბილეთები იყიდებოდეს როგორადაც სხვა გზებზედ და ის წეს-რიგი არსებობდეს აქაც, როგორც სხვა ადგილებში. აქ ნიხრს არავინ დაეძებს დღეს. სადგურიდგან ახალშენამდე წასვლა ღირს 70 კაპ., მაგრამ შეიძლება ხვალ მანეთი გახდეს.

უწესოება და ურიგობა ბევრ სხვა საქმეშიაც არის აქეთ. ხარჯის აკრების დროს ძლიერ ავიწროებენ ხალხს. ზედ შობა დღეს დაუარა მამასახლისმა (სხვა სარწმუნოების კაცია) და გზირმა მართლ-მადიდებელ ხალხს და დაუწყო რბევა. ხალხის რბევა მანამ არ შეწყვეტილა, ვიდრე შემოსილი მღვდელი ეკლესიიდგან გარედ არ გამოვიდა და არ შეტუქსა მამასახლისი ასეთის უჯერო საქციელისათვის.

ს. ბოლნისში ლაპარაკია დაარსონ საეკლესიო სკოლა; იგი იქმნება პირველი ამ ხეობაზე და ვინატრით, კეთილი აზრი მალე განხორციელებულიყოს დავიწყებულ სამხრეთ საქართველოს ხალხისათვის.

**მიცნობს-კი.**

—

**ს. მაღლაკი,** 14 თებერვალი. ეს სოფელი ქუთაისიდგან ათ ვერსზე მდებარეობს, მაგრამ იმერეთის სატახტო ქალაქის ზედ-გავლენა ამას უკუღმა ამჩნევია. რვა ასზე მეტს კომლს ამ სოფლის მცხოვრებლებისას არ აბადია არც ერთი სასოფლო სასწავლებელი. არისერთი სამრევლო სკოლა, რომელიც ერთობ მძიმედ მიაჩანჩალებს თავისს წუთი-სოფელს... ამბობენ, როცა ვინმე ითავებდა ხოლმე ამ სოფელში სოფლის სკოლის დასაარსებლად სოფლის განაჩენის დადგენას, ან დადგენილ განაჩენის სისრულეში მოყვანას, გლეხები ძველის ჩვეულებით აქაურს თავადებს მიჰმართავდნენ თურმე: „არიქა, ბატონო, თუ რასმე მოგვეხმარებით, თორემ ვილუპებით — სკოლას გვაკეთებინებენო!“ თავადებიც თურმე „არ ჰღალატობდნენ“ მეზობლებს და თავის გავლენით ეხმარებოდნენ, რომ სოფელს სკოლა არ ჰღირსებოდა!.. დღეს-კი სოფელი, მადლობა ღმერთს‘ იღვიძებს. მაგრამ გაღვიძების ამბავს შემდეგს წერილში მოგახსენებთ. რადგან ჯერ მარტო-ოდენ მცირე ნიშნებს ვხედავთ გაღვიძებისას.

**სოფლელი.**

—

**ბარის ოსეთი.** ამას წინად გწერდით, რომ მახამეთა ყუბადიევს სოფ. სინძიყავას ბოსელი დაუწვეს-მეთქი. ეს უბედურება ვეღარ აიტანა მისმა ცოლმა, ეცა ელდა და ერთის კვირის შემდეგ გარდაიცვალა. ნახეს-რა, ამ ნაირი ზარალი თავიანთ თანამოძმისა, ადგნენ და « ბადილაანთ გვარისებმა» (ოზდენებმა): თუღანოვებმა, ზურაბოვებმა, თვით ყუბადიევებმა და ჩერქეზთა ბატონებმა ბიასლანოვებმა ზოგმა ცხენი, ზოგმა კამბეჩი, ზოგმა ხარები, ზოგმა ძროხები, ცხვრები და სხვა საქონელი მოუგროვეს მახამეთა ყუბადიევს, თითქმის ორი იმდენა, რაც დაეწვა. ერთმა, თუღანოვის გვარისამ, სარგებლით ფული აიღო ნებით ქრისტიანის სოფელში, იყიდა უღელი ხარი და მიურეკა მახამეთს რა ამბავიაო, რომ ჰკითხოთ, რად იქცევით ასეო, გიპასუხებენ: ოზდენია (კეთილშობილი) და ის რომ დაიჩაგროს და გაღარიბდეს, ხომ ჩვენთვის სირცხვილი იქნებაო?.. ვისურვებთ სულითა და გულით, რომ ამ ნაირი თანაგრძნობა ერთმანეთისა ჭირსა და ლხინში ქართველთა შორისაც არ აღმოფხვრილიყოს... მით უმეტეს, რომ ასეთი თანაგრძნობა ძველის-ძველი ჩვეულებაა ქართველობაში. ამ გვარს ჩვეულებას სხვა-და-სხვა ალაგას სხვა-და-სხვა სახელწოდება აქვს.

—

**სოფ. ნებით-ქრისტიანი.** ამ თვის ორს ამ სოფელში მცხოვრების ქალოევის ეზოში ლხინი იყო. ქალოევს ახალი მოყვანილი პატარძალი ჰყვანდა, ყმწვილ ქალვაენი იყვნენ შეკრებილნი და თამაშობდნენ. სხვათა შორის, აქვე იყო ამ სოფლის სკოლის მასწავლებელი გიორგი აბაევი. მოულოდნელად, გიორგი აბაევს მიეპარა გაბა ავზურაგოვი, დასცა მარჯვენა ბარძაყში რევოლვერი და გაიქცა. გიორგი აბაევი ერთბაშად მოტრიალდა, იძრო ხანჯალი და გამოუდგა თავის დამჭრელს, მაგრამ საბრალოს ძალა აღარ შესწევდა, თქრიალით სისხლი გადმოსდიოდა ჭრილობიდან. მასწავლებელი აბაევი გადადებულია და მისი მორჩენა სათუოა.

ექიმები ამბობენ: ტყვიას ბარძაყის ძვლის ერთი მხარე სულ შეუმტვრევიაო.

როგორც აღმოჩნდა, აბაევს და ავზურაგოვს ერთმანეთის ჯავრი სჭირებიათ. ავზურაგოვმა შური თურმე იძია. გამოძიება სწარმოებს. ავზურაგოვი ცააპატიმრა გამომძიებელმა.

**ქართველი ოსებში.**

# ნარკვევი.

ამას წინად ვილნაში გაირჩა ებრაელის ბლონდესის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა კაცის-კვლა სარწმუნოებრივის აზრით. ბლონდესის საქმე ერთხელ სენატმა უკვე გააუქმა და ახლა მეორედ გაირჩა ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით. სასამართლომ გაამართლა ბლონდესი. გაზეთი «ცერკ. ვესტნ.» ამის გამო სწერს შემდეგს საყვედურს.:

სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად მომხდარა, რომ სასწორი გადახრილა გამართლებისაკენ უფრო, ვიდრე გამტყუნებისაკენ და ეს ხდება წინაალმდეგ სამართლიანობისა. სარწმუნოებრივ საქმეების შესახებ ეს აიხსნება საზოგადოებაში ლიბერალურ და სარწმუნოებათა შემწყნარებელ შეხედულობით, რომლის ზედგავლენით შეღავათით აფასებენ, ან სრულიად უარ-ჰყოფენ (ფაქტიურად დამტკიცებულიც რომ იყოს) შეუწყნარებელს ფანატიკურს საქციელს. ამგვარს ხშირს გამართლებას ვხედავთ არა მარტო სარწმუნოებრივს საქმეებში...

—

გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე ადგილი იმ წინასიტყვაობისა, რომელიც უძღვნა ლ. ტოლსტოიმ პოლენცის რომანს „გლეხს“. გავაცნობთ მკითხველს კიდევ იმავე წერილიდგან ტოლსტოის აზრს კრიტიკის შესახებ:

ამ 20 წლის წინად მეთიუ არნოლდმა დასწერა მშვენიერი წერილი კრიტიკის დანიშნულებაზე. მისის აზრით, კრიტიკის დანიშნულება ის არის, რომ იპოვოს ყველაფერში, რაც-კი და სადაც-კი რამ როდისმე დაწერილა, მნიშვნელობიანი და კარგი და მიაქციოს მკითხველების ყურადღება ამ კარგს და მნიშვნელობიანს.

ჩვენს დროში, როდესაც კაცი გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს და რეკლამებს თვალს ვერ არიდებს, ასეთი კრიტიკა არამც თუ საჭიროა, არამედ განათლებულ კლასის გონებრივის წარმატების მომავალი დამოკიდებულია იმაზე, გაჩნდება და ავტორიტეტს მოიპოვებს თუ არა ამგვარი კრიტიკა.

გადამეტებული წარმოება ყოველისავე საქონლისა საზარალოა. მხოლოდ გადაჭარბებული წარმოება ისეთის ნივთისა, რომელიც მიზანს-კი არა, საშუალებას შეადგენს და ამ საშუალებას ხალხი მიზნად სთვლის, ერთი-ორად და სამად მავნებელია და საზარალო.

დიდად სასარგებლოა ცხენები და ეტლები, როგორც მიმოსვლის საშუალება, ტანისამოსი და სახლი, როგორც ავდრისაგან თავშესაფარი, კარგი საკვები, როგორც ორგანიზმის ძალთა გამმაგრებელი საშუალება. მაგრამ, როდესაც ადამიანები ამ საშუალებათა შეძენას მიზნად ჩასთვლიან, ე. ი. ეცდებიან, შეიძინონ რაც შეიძლება მეტი ცხენი, სახლი, ტანისამოსი, საკვები, — მაშინ ეს საქონელი არამც თუ უსარგებლოა, პირდაპირ მავნებელიცაა. ასეთი საქმე დაემართა წიგნის ბეჭდვას ევროპის შეძლებულს და განათლებულს წრეში. წიგნის ბეჭდვა, დიდად და დიდად სასარგებლო მცირედ განათლებულ ხალხისათვის, შეძლებულ წრეთა შორის უკვე გადაიქცა უვიცობისა და არა განათლების გამავრცელებელ იარაღად.

თუ ჩვენს დროში ჰკვიანს ყმაწვილს კაცს, ხალხის შვილს, რომელსაც განათლება სურს, საშუალება მიეცა წიგნებისა, ჟურნალებისა და გაზეთების წაკითხვისა და თავისუფლება წასაკითხ მასალის ამორჩევისა, უფრო მოსალოდნელია, რომ ათის წლის განმავლობაში იგი გადაიკითხავს ყველა სულელურს და უზნეო წიგნს; ძალიან საეჭვოა, რომ ასეთი ყმაწვილი კაცი კარგს წიგნს წააწყდეს. სავალალო უფრო ის არის, რომ ცუდის წიგნების კითხვათ იგი უფრო და უფრო გაირყვნის გემოვნებას და გონებას, ასე რომ, როდესაც კარგ წიგნს წააწყდება, ან სულ ვერ გაიგებს იმის შინაარსს, ან სრულიად უკუღმა გაიგებს.

წიგნი კარგია, მაგრამ ყველა [illegible]

# რუსეთი

—

ოდესაში არსდება ქალთა საპედაგოგო კურსები.

— იაპონიიდგან ბევრი იაპონელი გადმოსახლდა თურმე პრიმორის ოლქში — ვლადივოსტოკსა, ხაბაროვსკსა და უსურიის ნიკოლსკში. იაპონელები მიდიან მანჯურიაშიაც ამ ქვეყნის შესასწავლად, რომელიც, მათის სიტყვით, თითქმის დაიპყრეს რუსებმა... წინად მხოლოდ იაპონელი ხელოსნები და ვაჭრები პოულობდნენ სამუშაოს: პრიმორის ოლქში და ბლაგოვეშჩენსკში ბევრი იყო იაპონელი დალაქი, მრეცხველი, დურგალი და ვაჭარი. დღეს-კი მანჯურიაში მიემგზავრებიან იაპონელი მეცნიერნი, მოხელენი და უბრალო ხალხიც პრიმარის ოლქში და მანჯურიაში სამუდამოდ დასასახლებლად. ამბობენ, რომ მანჯურიის გამოსაკვლევად და შესასწავლად ერთი იაპონელი პრინცი-კი ჩამოვიდაო, რომელსაც სასახლეში დიდი გავლენა აქვს და საკუთარს გაზეთსაც ჰბეჭდავსო.

— „მოსკოვ. ვედ.“-ს სწერენ ჰელსინგფორსიდგან: პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი ფინლანდიის სენატის საპროტოკოლო სეკრეტრები ეიმელეუსი და ფურუჰელმი, რადგან არ მიიღეს ნიულანდის საგუბერნიო სამმართველოდგან რუსულ ენაზედ დაწერილი ქაღალდები. ფურუჰელმს თურმე არ აღიარა კაიგოროდოვი ნიულანდის გუბერნატორად და უწოდა „ეგრედ-წოდებული“ გუბერნატორი.

— მოსკოვში დაარსდა «მშრომელ ქალთათვის სამზრუნველო საზოგადოება», რომლის საგანია გონებრივი საზრდო მიაწოდოს მკერვალებს, მოახლეებს და სხვა მოსამსახურე ქალებს; გამართული იქმნება კლუბი, სადაც ღარიბ მშრომელთ შეეძლებათ შეიკრიბნენ საქმის დღეებში სადამოს $7^1/_2$—10 საათ. და უქმეებში 5—10 საათ.

— ოფიციალურს გაზეთს «ფინლ. გაზ.»-ში აწერიდია ჰელსინგფორსში 3 თებერვალს მომხდარი დემონსტრაცია: წელს მხოლოდ «დაანბელესა ქალაქის შუა-გული ნაწილი და არეულობაც შარშანდელივით დიდი არ იყო. დილით წინდაწინვე მომზადება არავის ეტყობოდა. სადამოს ცენტრალურ ნაწილში მაღაზიები არ იყო განათებული ჩვეულებისამებრ; შემდეგ მერვე საათზე ყველა მაღაზია დაჰკეტეს. კერძო სახლებიც «დაანბელეს» ესპლანადის ქუჩაზე. $6^1/_2$ საათზე ამ ქუჩაზე მოგროვდა ხალხი და, ცოტა ხნის შემდეგ, ტროტუარებზე სიარული შეუძლებელი გახდა. ამავე დროს ხალხში გაჩნდა იმ სენატორების სურათები, რომლებიც თანახმა გახდნენ უმაღლესის მანიფესტის გამოქვეყნებისა. სურათებს შემდეგი ზედწარწერა ჰქონდა ფინურად და შვედურად: «სამშობლოს გამცემი». პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი, რომლებიც ავრცელებდნენ ამ სურათებს. ზოგიერთა სურათები სენატორ ენებერგისა და სენატორად ნამყოფ ირე-კოსკინენის სახლებზედ მიაკრეს. 9 საათამდე ხალხს წყნარად ეჭირა თა-

---

და სისხლი ჩამოსდიოდა.

სალამო ხანზედ მინდვრიდგან მოვიდა ჩემი ძმა. როცა სახლში შემოვიდა ჩემთან, მე ცეცხლა-პირას ვიჯექ გადარეული; ჩემი თავი გაყუჩებული იყო, აღარაფერზედ ფიქრი აღარ შემეძლო. მხოლოდ ყურებს წუილი და გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა.

— აი, შე მაიმუნო, შენა, ეს რა მიგიქარავს! — დამკივლა ძმამ.

მე ჯერ ხმა არ გავეცი.

— შე ნაცარ-ქექია, შენა! შენც მითომ გაჯავრდი, კაცობა გამოიჩინე, ჰა? მეხი-კი დაგაყარე მაგ წუწკ ქეციან თავზე! — მიყვიროდა ძმა.

მეზობლები, რომელთაც დაენახათ, რომ ჩემი ძმა ჩემკენ წამოვიდა, მოგროვდნენ ჩემი სახლის კარებთან და ყურება დაგვიწყეს.

მე უარესად გავბრაზდი და ავირიე; ის უფრო მტანჯავდა, რო ჩემი ძმა კაცად, ადამიანად არა მთვლიდა, პირში დამცინოდა, ამოელა ხალხთან მასხარად მიგდებდა და მე-კი ღირსეულს სამაგიეროს პასუხს ვერ ვაძლევდი.

— ძმაო, თავი დამანებე, ნუ გადამეკიდე, ათაპალაში ნუ გინდა გამხვიო! — წყნარად ვუთხარ მე.

— აი, შე უმგზავსო, შენა, რა კაცი ხარ, რა შეგიძლიან შენ? — მითხრა ძმამ დაცინვით; მაგრამ, როგორც შევამჩნიე, ისიც გაცხარდა; ჩემმა ძმამ იუცხოვა, რო მე ჩემი სიტყვით მასთან ფეხი გავიწორე და იმას დავეტოლე. ჩემი ძმა მომიახლოვდა და ცეცხლა-პირად მჯდომარეს უკანიდგან კისერში წიხლი ჩამცა. მე წავვარდი წინ და თავი ცეცხლში წავყავ. ნაკვერჩხლებზე ხელები დავიწვი, თმა ალზედ მომეწვა. მეზობლებმა შეჰკივლეს, გარკვევით სიცილიც გავიგონე. ალბად მე დამცინოდნენ. **ძმა-კი... ოხ, თავი ვეღარ დავიჭირე, წამოვხტი** და იქვე ცხვარივით გამოვშიგნე ჩემი ძმა...

ეხ, ჩქარა, ჩქარა დამიჭირონ და დამღუპონ ერთი! სად არიან ის ოჯახ-დასაქცევნი!

ასე გაათავა ილამ თავისი ამბავი.

გავიდა თითქმის ნახევარ საათი. ყველა გაჩუმებული, დაფიქრებული, თითქოს გაქვავებულანო, ისე ისხდნენ ერთს ადგილას.

**სიკო.**

## შესანიშნავ მწერალთა

### უცნაური ზნე-ჩვეულებანი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბალზაკი ხომ ბევრსა შრომობდა და მოსვენებას არ აძლევდა თავსა, მაგრამ ფლობერიც იმაზედ ნაკლებად არ იღვწოდა, იმაზედ ნაკლებად არ იწურავდა ოფლსა. მართალია, ფლობერი ბალზაკივით ნაყოფიერი მწერალი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ ტკივილები შემოქმედებისა იმას უფრო აწუხებდა, სტანჯავდა, ვიდრე ბალზაკსა. ფლობერი იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც არა სჯერდებიან თავის გაკეთებულ საქმეს, სწუნობენ და უნდათ, რომ უფრო უკეთესი იყოს, უფრო შვენიერი, ყოვლის სიკეთით შემკული. მე ესე მინდოდა, ჩემი ნატვრა ეს იყო და ნამდვილად-კი რა უშნო და უმარილო ნაწარმოები იწერებაო! აი, ის ჰია, რომელიც უღრღნიდა მუდამ გულს ფლობერსა და სტანჯავდა, აწამებდა, ჰგვევდა.

მთელი თავისი სიცოცხლე თითქმის განმარტოებაში გაატარა ფლობერმა, რომელიც სოფლად სცხოვრობდა თავის მამულში. იჯდა ერთ თავად თავის კაბინეტში და სწერდა, მაგრამ ვაი იმ წერას!.. ჯერ დასწერდა, **მერე ისევ წაშლიდა, კიდევ დასწერდა, გადიკითხავდა** საჩქაროდ, არ მოეწონებოდა და კიდევ შესცვლიდა, უკვირდებოდა თითოეულ წინადადებას, სიტყვას, ასოებს. ოცი ფურცელი უნდა დაეწერა, რომ მერე ამ ოციდან ორი გამომდგარიყო და ამ ორს მაინც დაეკმაყოფილებინა წუნია ავტორი.

ზაფხულობით ღამ-ღამე ფანჯრები ღია ჰქონდა და მყუდროება მისის სადგურისა არაფრით არ ირღვეოდა, მხოლოდ შორიდან მოისმოდა ბუტბუტი სენისა. ჩაიცვავდა ფლობერი განიერს ჩვენებურს ნაოჭებ-ასხმულს შარვალს, ჩვენებურადვე შეკრულს აბრეშუმის ზონრითა, ჩვენებურისავე ჩოხის მგზავს საპოსელს და თეთრად ათენებდა წერაში. «უიმისოდაც წითური სახე ჰალარა ულვაშებითაო, — ამბობს მოპასანი, უფრო დაუწითლდებოდა და თითქმის გაულურჯდებოდა ხოლმე ამ დროს თავში სისხლის ავარდნის გამო. მისი თვალები ხშირის შავის წამწამებით გარემოცული, მოუსვენრად აღევნებდა თვალს თითოეულს სტრიქონს, თითოეულს სიტყვას თითქო უნდა შეიგნოს მათი სახე და ეფექტიო. მერე დაიწყებდა კვლავ აუჩქარებლივ წერას, შეჩერდებოდა, გადიკითხავდა დაწერილს, ახლა კიდევ მოჰყვებოდა წერას, მერე წაშლიდა, ფხეკდა სიტყვებს, აჭრელებდა არშიებს შენიშვნებით და თან ოხრავდა, ჰგმინავდა“.

როცა ბოლოს, დაუსრულებელ ზოზინისა და ეჭვის შემდეგ, შემდეგ შლისა და ჩამატება-სწორებისა დაიწერებოდა წინადადება, საჩქაროზედ გადიკითხავდა დაწერილს, წამოდგებოდა, დაიწყებდა ბოლთის ცემას და ხმა-მაღლა კითხულობდა ნაწერს ზეპირად სიტყვასიტყვით, მარცვალ-მარცვლობით. ახლა კვლავ მიუჯდებოდა მაგიდას და ასწორებდა იმ **ადგილს, რომელიც მის ყურს არ მოსწონდა,** აქ მუსიკა აკლიაო და შემდეგ დაიწყებდა მეორე წინადადების წერას იმავ ოხვრითა და გმინვითა.

ჩემი წერა, ჩემის შემოქმედობის ტკივილები სწორედ მშობიარე დედა-კაცის ტკივილებია, სულთ-ბრძოლააო, ამბობდა თვითონვე თავის ნაცნობთა შორის. ხომ არიან ისეთები, რომლებსაც ეშინიანთ სიბნელისა, სივრცისა, სიკვდილისა. სწორედ ფლობერიც ასეთი იყო, მხოლოდ იმას ის აშინებდა, რომ ენა არ იყოს ჩემს ნაწერში უხერხული, სტილი არ იყოს საჩოთიროოო.

სულ სხვა იყო ჟორჟ-ზანდი. ჟორჟ-ზანდს ისეთი მდიდარი ფანტაზია ჰქონდა, ისეთი ნაყოფიერის ნიჭის პატრონი იყო, რომ შემოქმედობა თითქო სრულიად არ ეძნელებოდა. ეს რომანისტი ქალი მთელს დღეს უქმად ატარებდა, თითქმის არც-კი ლაპარაკობდა; მისი გონება თითქო იქ დაჰქროდა, იმ ფანტაზიის ქვეყანაში, რომელიც მის მიერ იყო შექმნილი და რომელშიაც სცხოვრობდნენ მის ნაწერების გმირი ქალები და კაცები. სადამოზედ, ნასადილევს, ასე 8 საათზედ, მიუჯდებოდა მაგიდას, რომელზედაც უკვე დამზადებული იყო ქაღალდი, და დაიწყებდა წერას. სწორედ იმ წერტილიდან დაიწყებდა წერას მეორე დღეს, რომელზედაც წინა დღეს შეჩერდებოდა. არც დაფიქრება, არც წაშლა ერთხელ დაწერილისა და არც სხვა რამ ამისთანა. ამ სახით ჟორჟ-ზანდი მუშაობდა დილის 4 საათამდე და, თუ ამ 8 საათის განმავლობაში გაათავებდა რომანს, დაჰკეცავდა ხელთ-ნაწერს, კოპწიად შეჰკრავდა, დააწერდა ზედ „რევიუ დე დე მონდის“ რედაქციასაო და ახლა მეორე რომანის წერას შეუდგებოდა გულ-დამშვიდებით.

**ასეთი სიადვილე შემოქმედობისა, რომელმაც** მისცა შეძლება ჟორჟ-ზანდს მრავალი რომანი დაეწერა, სჭირდა თეოფილ გოტიესაც. გოტიე ვალდებული იყო სათეატრო ფელეტონები ეწერა ხოლმე ერთის ფრანგულის გაზეთისათვის. იმ ღამესვე, წარმოდგენის გათავების შემდეგ, თეოფილ გოტიე მივიდოდა სტამბაში, მიუჯდებოდა მაგიდის კუთხეს და სწერდა საშინელ ხმაურობის დროს, როცა სასტამბო მანქანებს გაჰქონდა რახა-რუხი, მუშები და ასოთ-ამწყობნი შედიოდ-გამოდიოდნენ და იყო ერთი ლაპარაკი და ვაი-ვაგლახი გარშემო. არც წინდაწინვე შემუშავებული გეგმა, არც წაშლა-წამოშლა დაწერილისა! საჩქაროზედ ივსებოდა ნაწერით ფურცელი ფურცელზედ მშვენიერ სხვილი ხელით და მიჰქონდათ ასაწყობად.

ეჭვი არ არის, რომ ესა თუ ის წესი წერისა და მუშაობისა დაეტყობოდა ხოლმე ნამოქმედარის ხასიათს. სიჩქარე და ძალდატანება ბალზაკის მუშაობისა დაეტყო მის ნაწერებს მით, რომ მრავალი დაწვრილებული უინტერესო გარემოებანია აწერილი და ჩართული მის რომანებში. ამის გამო მისი ენა და სტილი თითქო მძიმეა, ნაძალადევი. ფლობერის განუწყვეტელმა სწორებამ, ნაწერის კეთებამ და კირკიტმა ჰქმნა ის, რომ მისი ენა საოცარის სისწორით და ზედ-მიწევნით ჰხატავს ამა თუ იმ აზრს, ამა თუ იმ სურათს. ჟორჟ-ზანდის წერის სიადვილეს ის მოჰყვა, რომ მისი ენა ისე მიდის და მიწკრიალებს, თითქო წყალიაო; ხოლო თეოფილ გოტიე სწერდა ისე ადვილად, ცხოვლად და მხატვრულად იმიტომ, რომ დიდი ნიჭი ჰქონდა შვენიერების მიხვედრისა და გაგებისა.

ვი, ამის შემდეგ-კი იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ქუჩა მთლად ერთიან გაივსო. მოწვეულ იქმნა ჯოლიციის დარაჯები და... $11\frac{1}{2}$ საათზედ არეულობა შესწყდა.

31 იანვარს ამერიკაში გამგზავრდნენ 100-მდე ახალგაზრდა ფინლანდელი; მიზეზი გამგზავრებისა არის თურმე სამხედრო ბეგრის ახალ კანონის შიში.

— ყაზანის გუბერნიაში მოუსავლობისა და სიმშილობისა გამო ძალიან გავრცელებულა სურავანდი (ЦЫНГА) და სახადი (ტიფი).

## უცხოეთი

**შვეიცარია**. შვეიცარია ცნობილია კოოპერატიულ ამხანაგობათა სიმრავლით. იშვიათად შეხვდებით სხვაგან იმდენ საზოგადოებებს და ამხანაგობებს, რამდენიც იქაა. საინტერესოა ამათ შორის შარშან ბაზელში დაარსებული „ბაზელის მომხმარებელთა საზოგადოება“. დააარსა იგი 115 ვაჭარმა. საინტერესო იმითია ეს საზოგადოება, რომ იგი ორ გვარ წევრთაგან შესდგება: ერთს ვაჭარნი შეადგენენ, მეორეს მყიდველნი, მომხმარებელნი. პირველთ წლიურად ოც-ოცი ფრანკი შეაქვთ ადმინისტრაციის შესანახად, მეორეთ—თითო ფრანკი ერთხანად. გამგეობაში ორივე კატეგორიის წევრნი არიან. პირველ ხანს ამ ახალ ნიადაგზედ აგებულ საზოგადოებას ყურადღება არავინ მიაქცია. მიმბაძველიც არსად გამოსჩენია. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი, საზოგადოებამ გამოაქვეყნა თავისი ანგარიში და ამ გვარ საზოგადოების დაარსება ბევრგან სხვაგანაც განიზრახეს. ჟენევის სავაჭრო პალატაში ამას წინად საგანგებო კრება მოხდა ამ საქმის გამო. კრებამ კომისია აირჩია მომავალ ასოციაციის პროექტის შესამუშავებლად. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, ზემოხსენებულ საზოგადოებას შარშან ჰყავდა: 292 წევრი-ვაჭარი (საქონლის პატრონი) და 9,432 წევრი-მყიდველი (მუშტარი). პირველმა წევრებმა წლის განმავლობაში გაჰყიდეს 2.166,438 ფრანკის საქონელი, მეორეებმა მოგებიდგან დივიდენდად მიიღეს 127,712 ფრანკი. ამ რიგად ახალ საზოგადოების წყალობით ვაჭრებმაც მოიგეს და მყიდველებმაც.

იმავე შვეიცარიაში, ნევშატელის კანტონის ქალაქს შო-დე-ფონში დიდის ამბით იდღესასწაულეს სახალხო უნივერსიტეტის დაარსების წლის თავი. სულ ერთი წელიწადია, რაც ეს უნივერსიტეტი დააარსეს პროფესორებმა და მასწავლებლებმა. დღეს ამ სახალხო უნივერსიტეტში 150 ყურისმგდებელია. ასწავლიან შემდეგ საგნებს: საათის წარმოების მიმოხილვას (საათის წარმოება დასახელებულ შტატში ძალიანაა გავრცელებული), ფრანგულ ენას, ინგლისის პოლიტიკურ და ეკონომიურ ისტორიას, ჰიგიენას, თეორეტიულ და პრაქტიკულ ბოტანიკას, მუსიკას. წელს აზრადა აქვთ პროგრამა გააფართოვონ.

**საფრანგეთი**. 11 თებერვალს დეპუტატთა პალატამ თითქმის ერთხმად ის აზრი გამოსთქვა, რომ სამხედრო ბეგრის ვადა ორ წლამდე უნდა შემცირდესო. ამას გარდა, პალატამ 388 ხმის უმეტესობით 87 ხმის წინააღმდეგ გამოსთქვა, რომ ამ რეფორმასთან ერთად გაუქმებულ იქმნას სხვა-და-სხვა შეღავათი, რომლითაც დღეს უფრო ხშირად მდიდარნი სარგებლობენ. სოციალისტებმა თავის მხრივ მოითხოვეს, რომ სამხედრო ბეგარა ერთ წლამდე იქმნას შემცირებული, მაგრამ მთავრობამ არ მიიღო ეს წინადადება.

**ესპანია**. ბარსელონის არეულობას სხვა ქალაქების არეულობა მოჰყვა. საქმე იმდენად გამწვავდა თურმე, რომ მთელ ესპანიას რევოლუცია მოელის. ბარსელონა დედა-ქალაქია კატალონიისა. ბარსელონიდგან აჯანყების ალი ჯერ ამ პროვინციის ქალაქებსა და სოფლებს მოედო და ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, სხვა პროვინციებშიაც გადავიდა. თუ რამდენად ძლიერია აჯანყება, სჩანს იქიდგან, რომ 20 თებერვალს უცხო-ქვეყნელ ელჩებს ბარსელონაში თათბირი ჰქონიათ. ელჩებს დაუდგენიათ, შეატყობინონ თავიანთ მთავრობებს ბარსელონის არა ნორმალური მდგომარეობა. შესაძლებელია, რომ სახელმწიფოებმა სამხედრო გემები გაგზავნონ ბარსელონაში თავიანთ ქვეშევრდომთა და იმათ ქონების დასაცველად.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).“

19 თებერვალი.

**პეტერბურგი**. თებერვლის 19-ს, 3 საათზედ დღისით, სასახლის მინისტრმა გარდასცა ბუხარის ემირს მისდამი უმაღლესად ნაბოძები ორდენი წმ. ვლადიმერის I ხარისხისა რესკრიპტითურთ და გენერალ-ადიუტანტის ექსელბანტები. მინისტრმა გადასცა აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცის საჩუქრები ემირს, მისს მემკვიდრეს და კარისკაცებს. ოთხ საათზედ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა სასახლის სამეჯინიბოს უწყების მანეჟი, სადაც მისს უდიდებულესობას მიეგება ბუხარის ემირი მემკვიდრითურთ. ხუთს საათზე მაღალი სტუმრები წავიდნენ მანეჟიდგან საზამთრო სასახლეში, სადაც ბუხარის ემირმა დაათვალიერა მათ უდიდებულესობათაგან ნაბოძები საჩუქრები. საჩუქართა შორის იყო სრული კომპლექტი სასულე ინსტრუმენტებისა და ვერცხლეულობის სხვა-და-სხვა ნივთებისა.

სახელმწიფოს საზღვარზე დაიჭირეს ყალბ ფულების მომჭრელი ბრბო, რომელიც ამზადებდა უმთავრესად ვერცხლის წვრილ ფულებს.

„მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ გამოცხადებულია ახალი ინსტრუქცია პოლიციის ზედამხედველობისათვის სასმელთა ვაჭრობის საქმეში იმ გუბერნიებში, სადაც სასმელთა აღებ-მიცემობას თვით სახელმწიფო განაგებს.

**ლონდონი**. „შტანდარტს“ ატყობინებენ კლერკდორპიდგან, რომ ინგლისელთა ჯარის გუნდი, რომელიც ბარგი-ბარხანით შეიპყრეს ბურებმა, შესდგებოდა 680 კაცისა და 4 ზარბაზნისაგან.

**პეტერბურგი**. დონის როსტოვსა, რიგასა და სამარყანდში ემზადებიან გოგოლის ხსოვნის პატივსაცემად. სევასტოპოლის გრადონაჩალნიკი გენერალ-ადმირალი ფედოროვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და მისს ადგილას დაინიშნა გენერალ-მაიორი ხვოსტოვი.

**ტიუმენი**. მოსკოვის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების ტობოლის განყოფილებამ გადასწყვიტა ისე მოაწყოს საქმე, რომ გლეხებს პირდაპირ მეფაბრიკეთაგან ნდობით შეეძინოს სამეურნეო მაშინები, გამართოს ყოველ წლივ სათესურების გამოფენა და ითხოვოს, რომ რკინის გზის ზოგიერთს სადგურებზე აშენებულ იქმნას ელევატორები პურის გამანიავებლებითურთ.

**ნოვოჩერკასკი**. დონის ოლქის მცხოვრებთ მმართებლობამ მისცა 89,000 მანეთი ყანების დასათესად და საქონლის გამოსაკვებად, გარდა წინად მიცემულის 54,000 მანეთისა.

**მოსკოვი**. გლეხთა განთავისუფლების 41 წლის თავზე ჩუდოვის მონასტრიდგან ალექსანდრე II ძეგლთან მოვიდა სამღვდელოება ლიტანიით. კრემლში შეიკრიბა რამდენიმე ათასი მუშა, რომელთაც ორი გვირგვინი მოიტანეს—ერთი ვერცხლისა და ერთი ყვავილებისა. იწვის საფთიაქო საქონლის საწყობი ფერრეინისა.

**ვარშავა**. მეფაბრიკეთა ჯგუფი აპირებს საქონლის გასაზიდად იმ ნაირ კანტორის დაარსებას, როგორიც არსებობს პრაგასა და ბოგემიაში, სადაც მზგავსივე კანტორა ჰკრებს ცნობებს თუ უცხოეთის რომელს ბაზარზე რა საქონელი საღდება.

**ასტრახანი**. გაქურდეს ეკკლესია. ქურდი გუმბათის ფანჯრიდგან თოკით ჩასულა ეკკლესიაში.

20 თებერვალი.

**პეტერბურგი**. აკრძალულ იქმნა გაზეთის პეტერბურგის უწყებების გაყიდვა სამი თვით.

**ჰამბურგი**. სექტემბრის ოთხიდგან ათამდე აქ მოწვეულ იქნება მეცამეტე საერთაშორისო კონგრესი ორიენტალისტებისა.

**პეტერბურგი**. თებერვლის ცხრამეტს ისააკიევის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად. კრონშტადში, კალუგაში და სიზრანსა და ჩერნიგოვში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრეს მეორის სულის მოსახსენებლად გლეხთა განთავისუფლების დღეს.

**კიევი**. დაიწყო კრება სამხრეთ-დასავლეთის მხრის სასწავლებელთა დირექტორებისა და ინსპექტორებისა. პირველ დაწყებითი სწავლების საჭიროებათათვის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქმნა კიდევ 317,000 მან.

**სევასტოპოლი**. კურმამ კემილჩი მედერლუკომის ახლო მოკლეს სამი ადამიანი მამა, დედა და ძმა.

**მოსკოვი**. ცეცხლი ფერრეინის საფთიაქო საქონლის ლაბორატორიაში გაჩნდა ლიითონის ნატრის აფეთქებისაგან; რომელიც მუშის გაუფრთხილებლობისაგან წყალში ჩავარდნილიყო. დაჭრილ იქმნა სამი ცეცხლის მქრობელი და ერთი მუშა, ლაბორატორიის ფანჯრების შუშები დაილეწა და ჩარჩოები კოჭებს მოსცილდა. ლაბორატორიაში ათჯერ იყო აფეთქება.

**ლონდონი**. გაზეთების სიტყვით დევეტი ხელში დასჭრეს ახალზელანდელებზე თავს დასხმის დროს ათს თებერვლისას.

**ირბიტი**. აქ გამართულს კონცერტიდგან შემახელების სასარგებლოდ შემოვიდა 700 მანეთზე მეტი.

**პეკინი**. საფრანგეთის საელჩოს ატყობინებენ. რომ ტონკინის საზღვარს ახლო აჯანყებულებმა მოჰკლეს საფრანგეთის აფიცერი.

### პეტერბურგის ბირჟა, 19 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,055 |
| პარიჟში 100 ფრანკში | $37,40\frac{1}{2}$ |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში „ | $46,27\frac{1}{2}$ |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | $4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა. | — |
| 5% 1-ლი შინ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ. | 476 გაყიდ. |
| 5% მეორე შინ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 378 გაყიდ. |
| 5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $302\frac{1}{4}$ გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $94\frac{6}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $89\frac{5}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „ | — |
| „ კასპიის ამხანაგობისა | — |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 168 |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 172 წვ. გაყ.— |

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს.) 47 წ. [7 ს. 45 წ.).

## განცხადება

მკურნალი

**ნ. ტ. მულინი.**

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს, რომ 25 ამა თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიცემა უწმინდურების სადენ ბეტონის მილის გაყვანა ოქრომჭედლებისა და თომას ქუჩების კუთხეში, უკვე არსებულ მილიდგან ბაზიეროვის სახლამდე, დიდ გრიაზნის ქუჩაზედ, სამუშაო 1,000 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის აშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3-6.—1)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей арфюмерiи
А. Ралле и К-о
Парфюмерiя
Нильская
лилiя

## ПРОДАЖА

**яблонь и грушевихъ деревьевъ,**

премированныхъ золотою медалью, на Кавказской выставкѣ 1901 года изъ Лагодехи, Об—ва „Трудъ“ Африкяна.

Михайловскiй пр. д. № 101. Пансiонъ Теръ-Степанова.

(4—289—4)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 „ |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | 5 „ |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 „ |
| აბო ტფილელი, ე. კ. | 30 „ |
| Або Тифлисскiй, Е. К. | 5 „ |
| ამბავი მაღლის ქვისა | 5 „ |
| აგიდო სამაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 „ |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. 50 „ |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | 40 „ |
| ბენია | 10 „ |
| ბუნების სოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | 15 „ |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა | 30 „ |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა | 1 მ. 30 „ |
| გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ. | 1 მ. 20 „ |
| გამზრდელი, აკაკისა | 5 „ |
| გასართობი | 10 „ |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | 15 „ |
| გუსტავ ვაზა | 5 ,, |
| Грузинскiй отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ | 60 ,, |
| გიორგი და მიხეილი | 10 ,, |
| Древный Анчсхатскiй соборъ Карбеловъ | 20 ,, |
| დედა, ანდერსენისა | 8 ,, |
| ამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | 20 ,, |
| Двѣ святины въ Кахетiи, Е. К. | 10 „ |
| Давидъ Гареджели, Е. К. | 15 ,, |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | 15 ,, |
| ელენე, მოთხრობა | 5 ,, |
| Вступленiе Грузiи въ составъ Росс. имперiи, М. Хелтуплишвли | 40 ,, |
| Назрѣвшiй вопросъ, Е. К. | „ 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | „ 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III. Хахановъ | 3 „ |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | „ 30 |
| პატარა ვეფხვის ტყაოსანი | „ 25 |
| ამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | „ 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 „ |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა | „ 60 |
| საერო დღესასწაული | „ 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 „ |
| Заслуги Грузинскаго монашества. Е. К. | 30 „ |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | 40 „ |
| თამარ-დედოფლის სამკაული | 10 „ |
| თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა | 50 „ |
| ისტორია ქართულ სტამბისა | 15 „ |
| იანიხარი, დ. ნახუცრიშვილისა | 40 „ |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II ნაწ. ქუთათელაძისა | 60 „ |
| კოპერნიკიდგან დარვინამდე | 10 „ |
| კანდელი, მ. ღლაშვილისა | „ 15 |
| Краткiй очеркъ исторiи Грузинской церкви, Е. К. | 1 50 |
| Краткiй очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | „ 30 |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 20 |
| ლექსები განდეგილისა | „ 50 |
| მელოშვილისა | „ 50 |
| გრ. აბაშიძისა | „ 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | „ 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა. | „ 40 |
| მუშათა კითხვა | „ 15 |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონხოშვილისა | 1 „ |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | „ 40 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 „ |
| Мцхетъ и его Соборъ. А. Натроева | 1 50 |
| ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | „ 10 |
| ნათელა, აკაკისა | „ 20 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა | „ 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი | „ 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла. | „ 20 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ 50 |
| სხივი წარსულის, ი. გოგებაშვილისა. | „ 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა | „ 10 |
| სახუმარო გასართობი | „ 10 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 „ |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | „ 30 |
| საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა | „ 15 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | „ 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა | „ 50 |
| უბედავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილისა | „ 15 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | „ 50 |

ფაბრიკის ნიშანი

ფაბრიკის ნიშანი

## გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში, ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

## პაპიროსები,

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წააგავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იგივე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

## ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზედ განსაკუთრებითი ნიშანი. რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მსგავსს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვ ჩვენის ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

**Н. И. БОЗАРДЖIАНЦЪ С-ми.**

(10—282—6)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 20-го Февраля 1290 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორის-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.